F75 N 3100

ლენინის პარტია მოგვიწოდებს

ვიარეთ წინ—კომუნიზმის მშენებლობის გზით!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 74 (13468) | პარასკევი, 1 აპრილი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის შესახებ

31 მარტს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIII ყრილობა.

ყრილობა განიხილავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებას.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ა. ვ. ქორნიენკი — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ვ. პოდგორნი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ვ. ვ. ჩერნიშევი — სკკპ ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ი. სნეჩკუსი — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები: ამხანაგები ვალდეკ რუში — საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, ანტონინ ნოვოტნი — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებების გამო სიტყვა წარმოთქვა ამხ. დ. რასულოვმა — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა.

ყრილობამ მოისმინა და ერთხმად დაამტკიცა ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ი. ვ. კაპიტონოვმა.

დილის სხდომის დასასრულს ყრილობას მიესალმნენ ამხანაგები ნიკოლაე ჩაუშესკუ — რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, იანოშ კადარი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვა.

სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. ვ. მაცკევიჩი — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ზ. ნ. ნურიევი — სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ბ. ბუზნიცკი — მირონოვის რაიონის (კიევის პარტორგანიზაცია) ფდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები: ამხანაგები ლუიჯი ლონგო — იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, ტოდორ ჟივკოვი — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, არმანდო ხარტ დავალოსი — კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი. დოლორეს იბარური — ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე, რომლებსაც ყრილობის დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

ამხანაგ ვ. ვ. მჟავანაძის სიტყვა

ამხანაგებო! ყველა კომუნისტი, ყველა საბჭოთა ადამიანი ელოდა და გულმოდგინედ ემზადებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისათვის, დიდ იმედებს ამყარებდა მასზე. და დღეს ამ ტრიბუნიდან პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ხალხის ეს მოლოდინი, ეს იმედები სავსებით მართლდება. ამას მოწმობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც XXIII ყრილობაზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებამ XXIII ყრილობისადმი მთელი სიცხადითა და დამაჯერებლობით დაგვანახვა, რომ ჩვენი პარტია განუხრელად და მტკიცედ მიდის ლენინური გზით, რომ მას სამართლიანად უწოდებენ საბჭოთა ხალხის მებრძოლ ავანგარდს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას XXIII ყრილობისადმი საფუძვლად უდევს ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი პოლიტიკური და ეკონომიური ძვრებისა, რომლებიც ამ ბოლო დროს მოხდა ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. ამხანაგ ბრეჟნევის მოხსენებაში მკაფიოდ ნაჩვენებია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის, ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩვენი საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა.

და შეიძლება სრული რწმენით ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკური ხაზი არა მარტო ჩვენი ყრილობის დელეგატების, არა მარტო საბჭოთა კავშირის ყველა კომუნისტის მხურვალე ერთსულოვან მხარდაჭერას ჰპოვებს, მას მხარს დაუჭერს ყველა კომუნისტური პარტია, მსოფლიოს ყველა მშრომელი, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე, ვისთვისაც ძვირფასია მთელი კაცობრიობის მომავალი. **(ტაში).**

საანგარიშო მოხსენებაში მკაფიოდ, თეორიული დასაბუთებით განსაზღვრულია ჩვენი პარტიის რიგების ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის იდეური აღზრდის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მთავარი მიმართულებანი და უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

სწორედ ამიტომ ყრილობაზე მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი: ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი ხალხი სკკპ XXIII ყრილობას მჭიდროდ შეკავშირებული, იდეურად შეიარაღებული რომ შეეგებნენ, — ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) პლენუმის უდიდესი, მე ვიტყოდი, გადამწყვეტი დამსახურებაა. **(ტაში).**

გამოხატა რა მთელი ჩვენი პარტიის, მთელი ჩვენი ხალხის ნება, ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა ცხადყო, რომ პარტია ვერ შეურიგდება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებიდან უმცირეს გადახვევასაც კი, რომ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების სწორად გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე, ჩვენი საზოგადოების განვითარების ეკონომიური კანონების ღრმად გაგების საფუძველზე.

სწორედ ამიტომ დღეს ყველა კომუნისტი ერთხმად აცხადებს, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელობის სრულყოფის ღონისძიებანი მოასწავებენ ახალ ეტაპს ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში და რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი საზოგადოების შემდგომი წინსვლისათვის კომუნიზმის გზით.

პროექტი სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებისა ხუთწლიანი გეგმის შესახებ მხურვალედ, ერთსულოვნად მოიწონეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, რომელსაც მიაჩნია, რომ იგი კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინებაა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვისა მთელი ჩვენი ქვეყნის, თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის და კულტურის აყვავებისათვის, ადამიანთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის.

ძირითადი ციფრები დირექტივების პროექტში ჭეშმარიტად გრანდიოზულია. ამავე დროს ეს ციფრები სავსებით რეალურია, იმიტომ, რომ ეს მაჩვენებლები შემუშავებულია იმ საწარმოო რესურსებისა და რეზერვების ობიექტური შეფასების საფუძველზე, რომლებიც მოეპოვება ჩვენს სახალხო მეურნეობას და საშუალებას აძლევს მას მომავალ ხუთწლედში მიაღწიოს ახალ, კიდევ უფრო მაღალ მიჯნებს.

იმისათვის, რომ დავინახოთ, თუ რა ძლიერ განვითარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, როგორ გავიზარდეთ უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე, საკმარისია ეს მიჯნები შევადაროთ იმათ, რომლებიც დასახული იყო პირველი ხუთწლიანი გეგმით.

მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს. პირველი ხუთწლედის დამლევისათვის ვითვალისწინებდით ელექტროენერგიის გამომუშავება ჩვენს ქვეყანაში გაგვედიდებინა 22 მილიარდ კილოვატ-საათამდე წელიწადში. ახალი ხუთწლედის დამლევს ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება მიაღწევს 850 მილიარდ კილოვატ საათს.

პირველი ხუთწლედის წლებში ჩვენი ქვეყნის ხუთ დიდ ჰიდროელექტროსადგურს შორის დასახელებული იყო ზემო ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგური — საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირმშო, ვოლხოვის ელექტროსადგურის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მეორე ელექტროსადგური, რომელიც აიგო ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმით.

მაგრამ, თუ ზაჰესი, რომელიც იძლეოდა 200 მილიონ კილოვატ-საათს, თავის დროზე აღიარებული იყო დიდ ელექტროსადგურად, მაშ როგორღა უნდა დავახასიათოთ ელექტროსადგური, რომელიც ჩვენში შენდება მდინარე ენგურზე და რომელიც მშენებლობის დამთავრების შემდეგ წელიწადში გამომუშავებს 5 მილიარდზე მეტ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას.

თუ წელს რესპუბლიკის ყველა ელექტროსადგური გამოიმუშავებს 7 მილიარდამდე კილოვატ-საათ ელექტროენერგიას, ხუთწლედის დამლევს ელექტროენერგიის გამომუშავება ჩვენში გაიდიდება 11 მილიარდ 500 მილიონ კილოვატ-საათამდე. ასე შეიქმნება მტკიცე ენერგეტიკული ბაზა ჩვენი რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ხოლო რომ გავიგოთ, თუ რა მასშტაბი ექნება საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარებას ყოფაცხოვრებაში, საკმარისია ითქვას, რომ მარტო ტელევიზორებისათვის 1970 წელს საჭირო იქნება 2 ისეთი ელექტროსადგურის სიმძლავრე, როგორიც არის ზაჰესი, რომელსაც პირველი ხუთწლედის წლებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტით რესპუბლიკაში დასახულია წყალთა-სამეურნეო მშენებლობის დიდი პროგრამა. ხუთწლეულის განმავლობაში, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის დამთავრებისა და ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის და ზოგიერთი სხვა ობიექტის ნაწილობრივ ამუშავების შემდეგ რესპუბლიკა დამატებით მიიღებს რამდენიმე ათეულ ათას ჰექტარ სარწყავ მიწებს.

ხოლო კოლხიდის დაბლობში (ეს კი სუბტროპიკების რაიონია) სამელიორაციო სამუშაოთა განხორციელების შემდეგ რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამსახურში ჩავყენებთ 90 ათას ჰექტარ უნაყოფიერეს მიწებს, ე. ი. თითქმის იმდენს, რამდენიც ახლა საქართველოში სუბტროპიკული კულტურების მთელ ფართობს უჭირავს.

ახლა, როცა ვკითხულობთ ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტს, რომელიც ითვალისწინებს, რომ საჭიროა მთელი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ინტერესები სწორად შეგუხამოთ თვითეული რესპუბლიკის ინტერესებს, გული ივსება სიხარულით და სიამაყით მთელი ჩვენი დიდი მრავალეროვანი სამშობლოსათვის, რადგან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმატება ახარებს საბჭოთა ხალხების მთელ ჩვენს დიდ და მეგობრულ ოჯახს. ეს არის ჩვენი სამშობლოს დიადი უძლეველი ძალა, ეს არის ჩვენი ძლიერება. **(ტაში).**

მოსკოვი. 30 მარტი. კრემლის ყრილობათა სასახლე. სკკპ XXIII ყრილობა. ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე.
საკადესის ფოტოქრონიკა. (მიღებულია საქადესის ფოტოტელეგრაფით).

ამხანაგებო! საქართველოს მშრომელნი სკკპ XXIII ყრილობას შეეგებნენ სერიოზული წარმატებებით ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. გასულ 7 წელიწადში სამრეწველო წარმოების მოცულობა გადიდდა 60 პროცენტით; უპირატესად ვითარდებოდა მრეწველობის ყველაზე პროგრესული დარგები. ელექტროენერგიის გამომუშავება ერთიორად და მეტად გადიდდა, მანქანათმშენებლობის პროდუქციის გამოშვება გაიზარდა ოთხჯერ, აქედან ელექტროტექნიკური მრეწველობისა — 11-ჯერ, ქიმიური მრეწველობისა — 3,3-ჯერ.

სახელმწიფოს მიეყიდა 131 ათას 300 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ვიდრე შვიდწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული. შედარებისათვის ვიტყვი, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელს მოიკრიფა სულ 550 ტონა ჩაი, ხოლო 1965 წელს რესპუბლიკამ სამშობლოს მისცა — 186 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

1965 წელს რესპუბლიკის მევენახეებმა გეგმით გათვალისწინებული 230 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 245 ათასი ტონა ყურძენი.

განუხრელად უმჯობესდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და მაღლდება მისი კულტურული დონე. შვიდწლედის განმავლობაში საქართველოში აიგო 7 მილიონ 300 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ეს თითქმის იმდენივეა, რამდენსაც ამჟამად შეადგენს ქალაქ თბილისის მთელი საცხოვრებელი ფონდი.

1965 წლის გეგმა როგორც მრეწველობამ, ისე სოფლის მეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულეს. ახალი ხუთწლეულის პირველ კვარტალში რესპუბლიკამ (როგორც მრეწველობამ, ისე სოფლის მეურნეობამ) გეგმა შეასრულა ჩვენი ყრილობის გახსნის დღეს.

ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს საქართველოს მეცნიერებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა. რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენები იყო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემის დამთავრება, გადაწყვეტილება მრავალტომიანი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის შესახებ, მზადება დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის, რაც მომდინარე წლის სექტემბერში აღინიშნება.

ასეთია ზოგიერთი წარმატება ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მაგრამ ეს წარმატებები გაცილებით მეტი შეიძლებოდა ყოფილიყო, მუშაობაში გარკვეული ნაკლოვანებები და შეცდომები რომ არ გვქონოდა.

საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ახლა თავიანთ ძირითად ამოცანად მიაჩნიათ ის, რომ რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი და მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ეკონომიური პრობლემების გადაჭრისადმი მეცნიერული მიდგომის საფუძველზე მიაღწიონ გეგმის დავალებათა უთუო შესრულებას, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის შეწყობილ მუშაობას.

ამხანაგებო! იმისათვის, რომ განვახორციელოთ ის გრანდიოზული პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანები, რომლებიც ამხანაგ ბრეჟნევის მოხსენებაშია ჩამოყალიბებული, ახალ, უფრო მაღალ დონეზე უნდა ვაწარმოოთ პარტიული ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა.

ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო კომუნისტთა პარტიულობის გრძნობისა და იდეური სიმტკიცის საკითხს. რა უბანზეც უნდა იყოს კომუნისტი, პარტიული სამუშაო იქნება ეს თუ საბჭოთა სამუშაო, მან არასოდეს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკარგოს პარტიულობის გრძნობა.

შინაპარტიული, სამეურნეო საკითხების, კადრების შერჩევისა და განაწილების, ერთი სიტყვით, ყველა საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ ლენინური დებულებით, რომ ყოველი საკითხი შეიძლება გახდეს პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხი და მის სწორ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ჩვენი მუშაობის წარმატება.

კომუნისტი არ უნდა ჩაიკეტოს ვიწროეწყვეტილ საზრუნავისა და ინტერესების ნაჭუჭში. იგი გადაჭრით უნდა ილაშქრებდეს კუთხურობისა და ეროვნული განკერძოების წინააღმდეგ. იგი მოვალეა მთელ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდეს საერთო-პარტიული, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებით.

კომუნისტი მოწოდებულია აქტიურად მონაწილეობდეს თავისი კოლექტივის, თავისი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, თავის მეცადინეობას, ყველა მშრომელთა მეცადინეობას წარმართავდეს სახელმწიფო გეგმების შესასრულებლად. ამასთან არ უნდა ეწეოდეს სამეურნეო ორგანოების მაგვრობას, მათს წვრილმან მეურვეობას. არ უნდა ურიგდებოდეს პარტიული ხელმძღვანელობისადმი გამარტივებულ მიდგომას, რომლის შედეგად ახლო წარსულში ნებსით თუ უნებლიეთ ხდებოდა სამეურნეო და პარტიული ორგანოების ფუნქციათა აღრევა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ პარტიულ ორგანიზაციებს ეკონომიური პრობლემების გადაჭრის სხვა მეთოდები უნდა ჰქონდეთ, ვიდრე საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, რომ პარტიულობა მეურნეობის ხელმძღვანელობაში უწინარეს ყოვლისა ნიშნავს მასებში მთელი პოლიტიკური, მთელი ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებას.

ამის შესახებ ყრილობაზე ლაპარაკი იმიტომ მიგვაჩნია საჭიროდ, რომ ზოგიერთი ჩვენი კომუნისტი და ცალკეული პარტიული მუშაკებიც კი კარგავენ პარტიულობის გრძნობას. ასეთ პარტიულ მუშაკებს ვუსწორებდით შეცდომებს, ისინი კი, ვინც არღვევს პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებს, ვინც მოსწყდა მასებს, ვისაც პარტიული მუშაობის უნარი არ შესწევს, ისეთი მუშაკები, როგორიც აღმოჩნდნენ, მაგალითად, პარტიის ზუგდიდის რაიკომისა და გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნები, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაათავისუფლა ხელმძღვანელი პოსტებიდან.

რასაკვირველია, პარტიული კადრების შერჩევისა და განაწილების დროს სასურველია, რომ პარტიული ხელმძღვანელის პოსტზე იყოს სპეციალისტი, ვინც კარგად ერკვევა ეკონომიკის იმ დარგში, რომელიც ყველაზე დამახასიათებელია მოცემული პარტიული ორგანიზაციისათვის. მაგრამ ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ მას ასევე, შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც უნდა ჰქონდეს პარტიული მუშაკის, მასების მებრძოლი ორგანიზატორის, მშრომელთა მზრუნველი აღმზრდელის თვისებები.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიული მუშაობა დამხმარე სპეციალობა როდია. გვახსოვდეს, რომ ეს პროფესიაა, მეტიც — ეს დიდი ხელოვნებაა. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს, ზოგიერთი ამას ივიწყებს.

ვნერგავდეთ პარტიულობის გრძნობას ნიშნავს ყოველდღიურად, ბეჯითად, მოთმინებით ვნერგავდეთ იდეურ სიმტკიცეს. იდეური სიმტკიცე საბჭოთა ადამიანის, კომუნისტის უძვირფასესი თვისებაა.

უსაზღვრო რწმენა პარტიის საქმისადმი, ხალხის საქმისადმი აღფრთოვანებდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას იმპერიალისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად, დაგვეხმარა წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყლიდან განგვედევნა ინტერვენტები, გაგვემარჯვა სამოქალაქო ომში და წარმატებით დაგვეძლია სამეურნეო ნგრევა.

უსაზღვრო რწმენა პარტიისადმი, დიადი ლენინური ანდერძისადმი დაეხმარა საბჭოთა ხალხს შეესრულებინა პირველი ხუთწლედის გეგმები, განხორციელებინა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მოეხდინა კულტურული რევოლუცია უმოკლეს ისტორიულ ვადაში.

დიდი სამამულო ომის წლებში ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ მტერმა ვერ შეძლო შეერყია საბჭოთა ადამიანის რწმენა ჩვენი პარტიის იდეებისადმი, მისი იდეური სიმტკიცე.

კომუნიზმის იდეებისადმი ღრმა რწმენა, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმი — აი ის ძალა, რომელმაც გმირული საქმეებისათვის შთააგონა ალექსანდრე მატროსოვი და შოთა ვამეყლიძე, ზოია კოსმოდემიანსკაია, ზოია რუხაძე და ბევრი, ბევრი სხვა გმირი, რომლებმაც უკვდავი სახელი მოიხვეჭეს.

ახალი კომუნისტური საზოგადოების შენება ძნელი, რთული ამოცანაა. იგი ძალუძს მხოლოდ იმას, ვისაც მტკიცედ სწამს მარქსისტულ-ლენინური იდეების გაბატონება, კომუნიზმის გამარჯვება, ვისაც კომუნიზმის მშენებლობა თავის ღვიძლ საქმედ მიაჩნია და მზად არის მოახმაროს მას მთელი ძალღონე, მთელი ენერგია და, თუ საჭირო იქნა, სიცოცხლეც შესწიროს. **(ტაში).**

აი რატომ არის, რომ საბჭოთა ადამიანების აღზრდა, მაღალი იდეურობისა და კომუნიზმისადმი ერთგულების სულისკვეთებით მთავარი უნდა გახდეს ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობაში. აი რა უნდა იყოს იდეოლოგიური მუშაობის არსი, მისი საფუძველი.

აქვე მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს. ცნობილია, რომ ისტორიის არც გაუმჯობესება შეიძლება და არც გაუარესება, მით უმეტეს არ შეიძლება მისი დამახინჯება. მიუხედავად ამისა, ჩვენში ჯერ კიდევ იბეჭდება წიგნები, რომელთა ავტორები მეტისმეტად თავისუფლად, შეიძლება ითქვას, მოურიდებლად ეპყრობიან ისტორიას. ეს უწიხარეა ყოვლისა ეხება მემუარული ლიტერატურის ავტორებს. ზოგი მათგანი, მოგონებების წერას რომ შეუდგება, იმდენად იმისათვის კი არ ზრუნავს, რომ ისტორია დაწეროს, არამედ იმისათვის, რომ გვიჩვენოს თავისი თავი ისტორიაში, უკვდავყოს თავისი სახელი. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ი. მ. მაისკის წიგნი „საბჭოთა ელჩის მოგონებანი“, რომელიც გასული წლის დამლევს გამოვიდა.

ახლა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობასთან დაკავშირებით, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მთელმა იდეოლოგიურმა, ორგანიზატორულმა მუშაობამ, განსაკუთრებული გაქანება უნდა შეიძინოს. ეს მუშაობა უნდა წარვმართოთ იმისათვის, რომ ღრმად განვმარტოთ ყრილობის გადაწყვეტილებანი, აღვზარდოთ კომუნისტური საზოგადოების აქტიური, შეგნებული, მაღალიდეური მშენებლები, რათა თვითეულმა ადამიანმა შეიგნოს თავისი როლი, თვითეულმა მოძებნოს თავისი ადგილი საერთო ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის.

საქართველოს კომუნისტები XXIII ყრილობას შეხვდნენ უფრო მჭიდროდ შეკავშირებულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის დელეგატებმა რესპუბლიკის ყველა კომუნისტის სახელით ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა და პირობა დადეს, რომ საქართველოს კომპარტია, რომელიც თავისი რევოლუციური ტრადიციების ერთგულია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი საბრძოლო რაზმი იყო, არის და იქნება. **(ტაში).**

დაე განმტკიცდეს ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მშრომელთა მონოლითური ერთიანობა, ურღვევი მეგობრობა და შეკავშირება. **(ტაში).**

დაე საბჭოთა ხალხის დიად კომუნისტურ ლაშქრობაში წინ მიგვიძღვოდეს დიდი ლენინის უძლეველი ღროშა. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

სკკპ XXIII ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება

მომხსენებელი ამხანაგი ი. ვ. კაპიტონოვი

ამხანაგებო! პარტიის XXIII ყრილობის მუშაობა მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. ყრილობა ახალი ძალით ცხადყოფს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, ერთგულებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური კურსისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშისადმი.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში. რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლეონიდ ილიასძე ბრეჟნევმა გააკეთა, დამაჯერებლად არის ნაჩვენები, თუ როგორ გაიზარდა პარტიის როლი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, მოცემულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის ყოველმხრივი ანალიზი XXII და XXIII ყრილობებს შორის პერიოდში. მოხსენებაში გაშუქებულია კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები, დასახულია ჩვენი ქვეყნის შემდგომი აღმავლობის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების გზები.

გამოხატავს რა პარტიის ურყევ ნებას, ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის მტკიცე ხაზს. ეს ცხადყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წლის) და მომდევნო პლენუმებმა. ცენტრალურმა კომიტეტმა გადაჭრით დაგმო სუბიექტივიზმი, ეკონომიური კანონების, მეცნიერების მონაცემებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაუთვალისწინებლად პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის ცდები. პარტიამ შეიმუშავა და თანმიმდევრულად ახორციელებს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის ხელმძღვანელობის სრულყოფის ღონისძიებებს. პარტიასა და ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ნამდვილი შემოქმედებითი ვითარება, რომელიც ხელს უწყობს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი, კიდევ უფრო რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

სკკპ XXIII ყრილობას წინ უსწრებდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კონფერენციები და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობები. მათ ჩაიარეს ერთსულოვნებისა და საქმიანობის ვითარებაში, ცხადყვეს პარტიული მასების გაზრდილი აქტივობა. მათი ყურადღების ცენტრში იდგა კაკონომიკის შემდგომი განვითარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების, ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესების საკითხები. კრებებზე, კონფერენციებსა და ყრილობებზე კომუნისტებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ღონისძიებანი, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის, ერთიანობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ გვიჩვენა, რომ კომუნისტები, ყველა მშრომელნი მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიის მიერ დასახულ გეგმებს და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განახორციელონ ისინი.

ჩვენი პარტია XXIII ყრილობას შეხვდა იდეურად გამოწრთობილი, ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მტკიცედ შეკავშირებული, მას მტკიცედ და გულდაჯერებით მიჰყავს საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებლობის გზით.

ამხანაგებო!

სამანდატო კომისიამ შეამოწმა დელეგატთა რწმუნებანი და საკიროდ მიაჩნია ყრილობის მოაწესნოს შემდეგი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობაზე არჩეულია 4.943 დელეგატი, აქედან 4.620 გადამწყვეტი ხმის უფლებით და 323 — სათათბირო ხმის უფლებით. ყველა დელეგატი არჩეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების, ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილი არჩევნების წესისა და წარმომადგენლობის ნორმების ზუსტი შესაბამისობით: ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით პარტიის ორი ათას ხუთასი წევრისაგან და ერთი დელეგატი სათათბირო ხმით პარტიის წევრობის ორი ათას ხუთასი კანდიდატისაგან.

სამანდატო კომისიამ ცნო ყველა დელეგატის რწმუნებათა ნამდვილობა. ყრილობას ესწრება 4.619 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 323 დელეგატი სათათბირო ხმით. ერთი დელეგატი არ ესწრება საპატიო მიზეზით.

პარტიულ ორგანიზაციათაგან ყველაზე დიდი დელეგაციებია: ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვისა, რომელშიც 311 კაცი, ლენინგრადის ოლქისა — 187, მოსკოვისა — 154, როსტოვისა — 91, გორკის ოლქისა — 83, კრასნოდარის მხარისა — 83, სვერდლოვსკის ოლქისა — 81 კაცი.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა დელეგაციებში შედის: უკრაინის დელეგაციაში — 847 კაცი, უზბეკეთის — 204, ბელორუსიის — 158, უზბეკეთის—140, საქართველოს — 111, აზერბაიჯანის — 92, ლატვიის — 48, სომხეთის — 47, ლიტვის — 42, მოლდავეთის — 40, ყირგიზეთის — 38, თურქმენეთის — 30, ტაჯიკეთის — 30, ესტონეთის დელეგაციაში — 27 კაცი.

XXIII ყრილობის დელეგატები კომუნისტთა თორმეტმილიონიანზე მეტი არმიის წარმომადგენლები არიან. ახლა პარტიაში 11 მილიონ 673 ათას 676 სკკპ წევრი და 797 ათას 403 პარტიის წევრობის კანდიდატია. XXII ყრილობის შემდეგ პარტიას 2 მილიონ 755 ათას 74 წევრი შეემატა, რაც მოწმობს პარტიის დიდ ავტორიტეტს ხალხში, მასებთან მისი კავშირის გაძლიერებას.

ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენებაში დიდი ყურადღება ეთმობა შინაპარტიული ცხოვრების, პარტიის რიგების შემდგომი განმტკიცების საკითხებს. მოხსენებაში წამოყენებული წინადადებანი ორგანიზაციული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ცვლილებათა შესახებ მიზნად ისახავს კომუნისტის წოდების კიდევ უფრო ამაღლებას, პარტიული ორგანიზაციების ინიციატივის განვითარებას, შინაპარტიული დემოკრატიის გაფართოებას. დასახულ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს პარტიის მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ახალ აღმავლობას.

როგორც ცნობილია, ჩვენი პარტია აერთიანებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ყველაზე შეგნებულ ნაწილს. ეს გამოხატულებას პოულობს ყრილობის დელეგატთა შემადგენლობაშიც, რომელთა შორის არიან მუშები და კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური და სამეურნეო მუშაკები, კონსტრუქტორები და მეცნიერები, პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრები.

XXIII ყრილობაზე ფართოდ არიან წარმოდგენილი სოციალისტური ინდუსტრიის მუშაკები. 1.577 დელეგატი მუშაობს მრეწველობისა და მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებში. ბევრი მათგანი შრომობს იმ დარგებში, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ სახალხო მეურნეობის ტექნიკურ პროგრესში, აქედან 255 დელეგატი შრომობს მანქანათმშენებლობაში, 142 — მეტალურგიულ მრეწველობაში, 131 — ნავთობისა და ქიმიურ მრეწველობაში, 81 — ქვანახშირის მრეწველობაში. 192 დელეგატი კომუნისტ მშენებელთა წარმომადგენელია, 249 დელეგატი მუშაობს მსუბუქ, კვებისა და ადგილობრივ მრეწველობაში.

ყრილობაზე არჩეულია 1.141 მუშა, რაც მრეწველობაში მომუშავე დელეგატთა საერთო რაოდენობის 72,4 პროცენტს შეადგენს. მათ შორის ბევრია წარმოების ნოვატორი, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში. ყრილობის დელეგატი მუშები ღირსეული წარმომადგენლები არიან ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა, რომელიც კომუნიზმის მშენებელთა ავანგარდში დგას.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს სოფლის მეურნეობის მშრომელთა დიდი ჯგუფი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში დასაქმებული 874 დელეგატიდან 554 კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობის მუშა, მერგოლური, ბრიგადირი, ფერმის გამგეა. მათ შორის 125 მექანიკოსი, ტრაქტორისტი და კომბაინერია. დელეგატებში არიან უხვი მოსავლის ბევრი ცხობილი ოსტატი, მეცხოველეობის მოწინავენი. ისინი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის იმ ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელების კარგ მაგალითს გვიჩვენებენ, რომლებიც პარტიამ შეიმუშავა.

როგორც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებში, ახლა, როცა პარტია ახორციელებს წარმოების დაგეგმვის, ეკონომიური სტიმულირების სრულყოფის, საწარმოთა უფლებებისა და დამოუკიდებლობის გაფართოების ღონისძიებებს, ბევრად მაღლდება სამეურნეო კადრების როლი. კომუნისტებმა ყრილობის დელეგატებად აირჩიეს 704 სამეურნეო მუშაკი, მათ შორის 107 კომბინატების, ტრესტების, ფირმებისა და საწარმოო გაერთიანებების დირექტორი, 197 საწარმოთა დირექტორი, 163 კოლმეურნეობის თავჯდომარე, 85 საბჭოთა მეურნეობებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების დირექტორი. ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელის ყრილობის დელეგატად არჩევა იმის დადასტურებაა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მათს საქმიანობას სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების გეგმების განხორციელებისათვის.

დელეგატთა მნიშვნელოვან რიცხვს ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები შეადგენენ. მათ შორის 45 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტია, 36 დარგობრივი აკადემიებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი და წევრ-კორესპონდენტია. 260 დელეგატს აქვს მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ჩვენს მეცნიერებს დიდი წვლილი შეაქვთ ტექნიკურ პროგრესში, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

საყოველთაოდ ცნობილია საბჭოთა მეცნიერების წარმატებანი კოსმოსური სივრცის ათვისებაში. ყრილობის დელეგატთა შორის არიან ისინი, ვინც ქმნის კოსმოსურ ხომალდებს, მონაწილეობს კოსმოსური ფრენის შემუშავებასა და განხორციელებაში. ბევრ დამსწრეთაგანს ახსოვს, თუ რა აღფრთოვანებით შეხვდნენ XXII ყრილობის სამანდატო კომისიის ცნობას, რომ ყრილობის დელეგატები იყვნენ პირველი კოსმონავტი მფრინავები იური ალექსის-ძე გაგარინი და გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვი. მას შემდეგ მხოლოდ ოთხმა წელმა განვლო, და თუ მაშინ მხოლოდ ორი კოსმონავტი გვყავდა, ახლა თერთმეტი გვყავს. პარტიის წევრებია ცხრა კოსმონავტი და ცხრავე არჩეულია სკკპ XXIII ყრილობის დელეგატებად.

დელეგატთა შემადგენლობაში 147 ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწე, კულტურისა და სახალხო განათლების მუშაკია, მათ შორის 53 მწერალი, კომპოზიტორი, მხატვარი და მსახიობია. მათი მონაწილეობა ყრილობის მუშაობაში მოწმობს, რომ ჩვენს ქვეყანაში აღიარებულია შემოქმედებითი ინტელიგენციის მაღალი როლი, რომელიც ეხმარება პარტიას ახალგაზრდობის, ყველა საბჭოთა ადამიანის აღზრდაში კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით.

ამხანაგო დელეგატებო!

როგორც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას, პარტიული ორგანოების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას. ამ ამოცანის გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული კადრებზე. თავიანთი ხელმძღვანელებისადმი კომუნისტთა დიდ ნდობას გამოხატავს 1.204 პარტიული მუშაკის არჩევა XXIII ყრილობის დელეგატად. მათ ძირითად ნაწილს შეადგენენ ისინი, ვინც აწყობს პოლიტიკურ მუშაობას მასებში, რაზმავს მშრომელებს საწარმოო გეგმების შესასრულებლად.

დელეგატთა შორის არის პარტიის რაიკომის, საქალაქო კომიტეტისა და საოკრუგო კომიტეტის 744 მდივანი, რაც შეადგენს პარტიულ მუშაკ დელეგატთა საერთო რიცხვის დაახლოებით 62 პროცენტს. ცენტრალურმა კომიტეტმა ნოემბრის (1964 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად დიდი მუშაობა გასწია რაიონული რგოლის აღდგენისა და მისი გამოცდილი, კვალიფიციური კადრებით განმტკიცებისათვის. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში არის 2.725 სასოფლო რაიონი — 880 რაიონით მეტი, ვიდრე 1964 წელს იყო. სასოფლო რაიონები ამჟამად უფრო კომპაქტური და უკეთ სამართავია, რამაც შექმნა ხელსაყრელი შესაძლებლობანი სოფლად პარტიული ორგანიზაციების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ყრილობის დელეგატები არიან პირველადი პარტიული ორგანიზაციების 148 მდივანი, საამქრო ორგანიზაციათა 260 მდივანი და პარტჯგუფორგი. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მაღალი შეფასება მიეცა პარტიულ აქტივისტთა ამ მრავალრიცხოვანი რაზმის მუშაობას. ამჟამად პარტიაში არის 326 ათასზე მეტი პირველადი პარტიული ორგანიზაცია — 30 ათასით მეტი, ვიდრე სკკპ XXII ყრილობის წინ იყო. ყრილობებს შორის პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საამქრო პარტორგანიზაციათა ქსელი, ამ დროის მანძილზე მათი რიცხვი 100 ათასით გაიზარდა და ამჟამად შეადგენს 287 ათასს. თითქმის ერთიორად გადიდდა პარტიული ჯგუფების რიცხვი, რომლებიც ამჟამად 350 ათასს აღემატება. ამჟამად პირველადი პარტიული ორგანიზაციებია თითქმის ყველა საწარმოში და მშენებლობაზე, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

უკანასკნელი წლების მანძილზე პირველადი პარტიული ორგანიზაციები განმტკიცდნენ, უფრო მრავალრიცხოვანი გახდნენ. XXII ყრილობის შემდეგ ერთნახევარჯერ გადიდდა იმ მსხვილი ორგანიზაციების რიცხვი, რომლებშიც სამასზე მეტი კომუნისტია. ყოველივე ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს პარტიული გავლენა სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე, გაუმჯობესდეს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში.

ყრილობის დელეგატთა შორის არის 539 საბჭოთა, 82 პროფკავშირული და 44 კომკავშირული მუშაკი. საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან ფართო მასების ჩასაბმელად სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმოების საქმეების მართვაში, დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა ადამიანების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, ჩვენი ახალგაზრდობის, ყველა მშრომელთა აღზრდას.

სკკპ XXIII ყრილობაზე არჩეულია საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სასაზღვრო ნაწილების 352 სამხედრო მოსამსახურე. დელეგატთა შორის არიან სახელგანთქმული მხედართმთავრები — მარშლები, ადმირალები, გენერლები და ოფიცრები, რომლებიც იბრძოდნენ სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, აგრეთვე ჩვენი მეომრების ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელნი. ისევე როგორც ომის მძიმე დღეებში, კომუნისტები ამჟამადაც ადუღაბებენ არმიისა და ფლოტის რიგებს, უჩვენებენ მხედრული მოვალეობის შესრულების მაგალითს, პარტიის ჭეშმარიტი იდეური მებრძოლები არიან ჯარებში მისი პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ამხანაგებო!

მონაცემები ყრილობის შემადგენლობის შესახებ მოწმობენ, რომ დელეგატები ის ადამიანები არიან, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შრომაში, გვიჩვენეს მამაცობისა და გმირობის მაგალითები სამშობლოსათვის ბრძოლაში, აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. დელეგატთა სამი მეოთხედი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. მათ შორის არის 111 საბჭოთა კავშირის გმირი, 459 სოციალისტური შრომის გმირი, 174 ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, 1.205 დელეგატი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატებია.

უნდა აღინიშნოს ყრილობის დელეგატთა შემადგენლობა განათლების მიხედვითაც. დელეგატთა 55,5 პროცენტს აქვს უმაღლესი განათლება, 24 პროცენტს— დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო განათლება. ყრილობის 1.484 მონაწილე სპეციალობით ინჟინერი, ეკონომისტი, ტექნიკოსია, 493 — აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტექიმი, 451 — პედაგოგი, ექიმი, იურისტი, 806 დელეგატს პარტიულ-პოლიტიკური განათლება აქვს. ყოველივე ეს ასახავს იმ წარმატებებს, რომლებიც პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულია სპეციალისტთა მომზადებაში, სსრ კავშირის ხალხთა განათლებისა და კულტურის განვითარებაში.

სამანდატო კომისიას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ XXIII ყრილობაზე არჩეულია 1.154 ქალი, ანუ დელეგატთა საერთო შემადგენლობის 23,3 პროცენტი. ქალები ყველაზე მეტად წარმოდგენილი არიან უზბეკეთის, სომხეთის, ლიტვის, ლატვიის, მოლდავეთის მოკავშირე რესპუბლიკების, ივანოვოს, იაროსლავლის, სმოლენსკის, კოსტრომის ოლქის, კრასნოდარის მხარის პარტიულ ორგანიზაციათა დელეგაციებში. დელეგატთა შორის 116 ქალი სოციალისტური შრომის გმირია. საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება აქვს ყრილობის დელეგატს, მსოფლიოში პირველ კოსმონავტ ქალს ვალენტინა ვლადიმერის ასულ ნიკოლაევა-ტერეშკოვას.

ყრილობის მუშაობაში ფართოდ რომ მონაწილეობენ ქალები, მოწმობს, რომ გაიზარდა მათი აქტივობა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. ორ მილიონ ნახევარზე მეტი ქალი ირიცხება ლენინური პარტიის რიგებში, ეს 650 ათასით მეტია, ვიდრე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის წინ იყო. არ არის ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის ისეთი სფერო, სადაც თავი არ გამოეჩინოთ საბჭოთა ქალებს, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა. და ისინი მთელ თავიანთ ძალასა და ცოდნას ახმარენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

XXIII ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის 59 ერისა და ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, უზბეკები, ყაზახები, ქართველები, აზერბაიჯანელები, ლიტველები, მოლდაველები, ლატვიელები, ყირგიზები, ტაჯიკები, სომხები, თურქმენები და ესტონელები, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ეროვნული ოკრუგების მკვიდრ ერთა და ეროვნებათა კომუნისტები. ეს საბჭოთა კავშირის ხალხების ერთიანობისა და ძმური თანამშრომლობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების გაძარჯვების გამოხატულებაა.

ასაკისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში ყოფნის სტაჟის მიხედვით დელეგატთა შემადგენლობას ახასიათებს შემდეგი მონაცემები. ოცდაათ წლამდე ასაკის დელეგატების რიცხვი შეადგენს 8 პროცენტს, ოცდათერთმეტი წლიდან ორმოც წლამდე — 32,2, ორმოცდაერთი წლიდან ორმოცდაათ წლამდე — 34,3 პროცენტს, ორმოცდათერთმეტი წლიდან სამოცამდე წლისა 21,7 და სამოც წლისაზე მეტისა — 3,8 პროცენტს.

დელეგატთა შორის 18 კომუნისტს აქვს რევოლუციამდელი სტაჟი. დელეგატთა რიცხვი, რომლებიც პარტიაში შევიდნენ 1917 წლიდან 1930 წლამდე, შეადგენს 4,8 პროცენტს; 1931 წლიდან 1940 წლამდე — 15,5 პროცენტს; 1941 წლიდან 1945 წლამდე — 24,7 პროცენტს. დელეგატთა 24,2 პროცენტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა 1946-1955 წლებში, ხოლო 30,4 პროცენტი — მომდევნო წლებში.

XXIII ყრილობის მუშაობაში რომ მონაწილეობენ ისეთი, ვინც გამარჯვებისათვის იბრძოდა დიდი ოქტომბრის რევოლუციაში, იარაღი ხელში იცავდა საბჭოთა ხელისუფლებას, აშენებდა სოციალიზმს და იცავდა მის მონაპოვრებს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, და ისეთი, ვინც პარტიის რიგებში შევიდნენ ომის შემდგომ წლებში, — მოწმობს პარტიაში თაობათა მემკვიდრეობითობას, პარტიის ერთგულებას ლენინური რევოლუციური ტრადიციებისადმი.

ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის დელეგატთა შემადგენლობა მოწმობს, რომ ჩვენი პარტია გაიზარდა რიცხობრივად, განმტკიცდა ორგანიზაციულად, გამოიწრთო იდეურად, ჰყავს მომზადებული კადრები, აქვს სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის მდიდარი გამოცდილება. ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით შეარაღებული კომუნისტური პარტია კვლავაც მტკიცედ გაუძღვება საბჭოთა ხალხს ლენინის მიერ ნაჩვენები გზით კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

მოსკოვი. კრემლის ყრილობათა სასახლე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა. სურათზე: სხდომათა დარბაზში.

ფოტო ვ. ხავოსტიანოვისა და ვ. ეგოროვისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

ნათელი მიზანი, გამარჯვების რწმენა

სკკპ XXIII ყრილოგა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია

△ პარიზი. საფრანგეთის პრესა და საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს სკკპ XXIII ყრილობის მუშაობას, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს. ადგილობრივი რადიო „უკანასკნელ ცნობათა“ გამოშვებებში უწინარეს ყოვლისა მსმენელებს აცნობს კრემლის ყრილობათა სასახლიდან მიღებულ ახალ ამბებს. ყრილობის მუშაობაზე წერს დღეს პარიზის ყველა გაზეთი.

გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ყრილობის დელეგატთა გამოსვლები „ცხადად მოწმობენ წარმატებებს როგორც წარმოების ზრდაში, ისე ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში“.

△ ფხენიანი. კორეის გაზეთებმა „ნოდონ სინმუნმა“ და „მინჯუ ჩოსონმა“ დღეს დაბეჭდეს შინაარსი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობაზე გაკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

△ ჰანოი. ყველა ცენტრალური გაზეთი დღეს ბეჭდავს XXIII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების შინაარსს და ცნობას ყრილობის მუშაობის შესახებ. მოხსენების შინაარსს გაზეთები იწყებენ ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებიდან მოყვანილი სიტყვებით: „ვიეტნამელი ხალხის გმირული სამართლიანი ბრძოლა ისტორიაში შევა როგორც შეუდრეკელი ვაჟკაცობის, შეუპოვრობისა და გამარჯვებისადმი მისწრაფების შესანიშნავი მაგალითი“.

ჰანოის რადიო რეგულარულად მთელი დღის განმავლობაში გადასცემს ცნობებს ყრილობის მუშაობის შესახებ, აგრეთვე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შინაარსს.

△ ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა ცენტრალური გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობს სკკპ XXIII ყრილობას. დღეს ფართოდ იბეჭდება ყრილობის მეორე დღის მასალები — დელეგატთა გამოსვლები კამათის დროს და საზღვარგარეთელ სტუმართა სიტყვები.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ ყრილობის გუშინდელი მუშაობის ანგარიშს ბეჭდავს სათაურით „ბონის ავანტიურისტული პოლიტიკა დაგმო XXIII ყრილობამ“.

გაზეთი „ნოიე ცაიტი“ აშუქებს ყრილობის მუშაობას და აღნიშნავს, რომ სულ უფრო იზრდება საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების როლი საერთაშორისო საქმეებში, იცვლება ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმისა და მშვიდობის სასარგებლოდ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

30 მარტის საღამოს სხდომა

მოსკოვი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა. სურათზე: კრემლის ყრილობათა სასახლის ფოიეში დელეგატები დიდი სამამულო ომის ვეტერანები საბჭოთა კავშირის მარშალი ი. კონევი და საბჭოთა კავშირის გმირი მ. ჭანთარია.
ფოტო ე. კასინისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

მოსკოვი, 31 მარტი. (საკავშირო). გუშინ ყრილობის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა **ა. პ. კირილენკო.** სიტყვა ეძლევა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ა. ი. პელშეს.**

— ია, პარტიის ძველ ჯარისკაცს, რომელმაც მის რიგებში „იმსახურა“ უკვე ოთხოცდაათი წელი, ისევე როგორც ეფუ-როსი პარტიული თაობის ბევრ აქ დამსწრეს ამხანაგს, — თქვა მან, — წ�ამ ფაქტმა ბედნიერება მონაწილეობა მიმიღია კომუნისტური პარტიის ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების მოპოვებიათვის 1917 წელს, საბჭოთა წყობილების საფუძვლების დაცვასა და განმტკიცებაში, პარტიის მტრების — ტროცკისტებისა და ყოველგვარი სხვა ჯურის „მემარცხენე“ და მემარჯვენე ოპორტუნისტებისა და ფრაქციონერების განადგურებაში, პარტიული რიგების ერთიანობისათვის ბრძოლაში, ჩვენი სოციალისტური საშობლოს შემდგომ აყვავებაში.

და ჩვენ მოწმენი ვიყავით იმისა, თუ როგორ იზრდებოდა პარტია წლითიწლობით, ძალას იკრებდა, წარმატებით ძლევდა ყოველგვარ სიძნელეს, რომლებიც გზაზე ეღობებოდა. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ დიდი ლენინური იდეები, ლენინური ორგანიზაციული პრინციპები, ლენინური მეცნიერული თეორიული მიდგომა ცხოვრების მიერ წამოყენებული პრობლემების გადაჭრისადმი მუდამ ხელმძღვანელი საწყისი იყო პარტიის საქმიანობაში. ამიტომ ჩვენი პარტიის ლენინურმა საფუძვლებმა ყველა გამოცდას გაუძლეს, ურყევი აღმოჩნდნენ.

როცა ვფიქრობ იმაზე, რაც ითქვა ცენტრალური კომიტეტის, საანგარიშო მოხსენებაში, და ვაკვირდები ცელლებებს, რომლებიც უკანასკნელ ხანს მოხდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში, მინდა განსაკუთრებით გავესვა ხაზი, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც აძეკამად ანგარიშს აბარებს XXIII ყრილობას, გასწია დიდი, ნაყოფიერი, და მე ვიტყოდი, ისტორიული მნიშვნელობის მუშაობა პარტიაში ლენინური სულისკვეთების ასაღორძინებლად, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის პრინციპების აღსადგენად.

ყოველმხრივი მხარდაჭერის ღირსია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა საგარეო პოლიტიკის დარგშიც, მისი პრაქტიკული მუშაობა კომუნისტთა მსოფლიო არმიის ერთიანობის განმტკიცებისათვის.

შეეხო რა იმას, რომ ჩვენი ქვეყანა ამჟამად დიდ აღმავლობას განიცდის, ამხ. პელშემ დაახასიათა ლატვიის სახალხო-სამეურნეო წარმატებანი. მაგალითად, უკანასკნელ შვიდ წელიწადში აქ ათვისებულია 600-მდე ახალი ნაკეთობის გამოშვება. ამჟამად იმ საქონლის თითქმის ნახევარი, რასაც რესპუბლიკის მრეწველობა უშვებს, შეესაბამება მსოფლიო ტექნიკურ დონეს. რესპუბლიკის მრეწველობამ წარმატებით დაიწყო ახალი ხუთწლედის პირველი წელი — 28 მარტისათვის შესრულდა პირველი კვარტლის გეგმა. სასიხარულოა აგრეთვე სოფლის მშრომელთა მუშაობის შედეგები. შარშან სახელმწიფოს მიეყიდა თითქმის ერთიორად მეტი მარცვალი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ორატორმა ილაპარაკა აგრეთვე იდეოლოგიური მუშაობის ამოცანებზე. მან ღონიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ჯეროვანი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლასა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას. ამჟამად სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობას დაუბრუნოს ლენინური სიღრმე, მებრძოლობა, მიზანსწრაფულობა.

სიტყვა ეძლევა სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს **კ. ტ. კატუშევს.** საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა გასწია შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის, ამბობს იგი. გორკის ოლქის მშრომელებმა შვიდწლედი ეძღვნა წელიწადზე და რვა თვეში შეასრულეს. ათოქმედდა ასზე მეტი ახალი საწარმო და მსხვილი წარმოება. პროდუქციის გაზრდა გადიდდა 70 პროცენტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 57 პროცენტისა. პროდუქციის გამოშვების ოდენობის ზრდა მნიშვნელოვანწილად მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

მუშების абსოლუტური უმრავლესობა მონაწილეობს სოციალისტურ შეჯიბრებაში, ამასთან გვიჩვენებს დიდი შეგნებულობისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესანიშნავ ნიმუშებს. ამ წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა ჩვენი 700-ათასიანი მუშათა კლასის ტექნიკური კვალიფიკაცია, მისი განათლებულობა და საზოგადოებრივი შეგნება. ახლა ოლქში 120 ათასამდე კაცი სწავლობს წარმოებისაგან მოეწყვეტლივ ბარტო საღამოსა და დაუსწრებელ სასწავლებლებში.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა მაინც ის არის, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა აღზარდეს და გამოზიდეს მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შესანიშნავი კადრები — ჩვენი ოლქის მშრომელთა ოქროს ფონდი, მთელი ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ოქროს ფონდი. სწორედ ასეთმა ადამიანებმა დაიმსახურეს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მაღალი შეფასება — ჩვენი ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

1965 წელი იყო წელი ოლქმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების დაბაღული მუშაობისა ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ამ წლის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, თუ რა დიდ კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ პლენუმის გადაწყვეტილებანი სოფლის ცხოვრების ყველა მხარეზე. ჯორკის ოლქის კოლმეურნეობათა შემოსავალი 1964 წელთან შედარებით 34 პროცენტით გაიზარდა. მოწინავეთა გამოცდილება, გლეხების მატერიალური შესაძლებლობანი და პირადი დაინტერესება რწმენას გვინერგავს, რომ ჩვენი მიწა მოკლე ვადებში რენტაბელური, მაღალსაქონლური სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველი გახდება.

შვიდწლეულის მანძილზე გორკის ოლქში აშენდა ოთხ მილიონამდე კვადრატული მეტრი ბინები, ოთხასზე მეტი სკოლა, ბევრი სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტი. მაგრამ, აღნიშნა ორატორმა, ქალაქ გორკისა და ოლქის სხვა ქალაქების მცხოვრებთათვის საბინაო პრობლემა კვლავ ყველაზე მწვავე პრობლემაა. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას კარგად აქვს შეგნებული, რომ ოლქის სახალხო მეურნეობის განვითარებაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და გადაუწყვეტელი საკითხია, და ჩვენ კვლავაც განუწყვეტლივ გავაუმჯობესებთ ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობას, განვავითარებთ კომუნისტებისა და ყველა მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივას, აქტივობას.

ლენინგრადის ელექტრომანქანათმშენებელო გაერთიანება „ელექტროსილას“ კოლექტივის სახელით ყრილობის დელეგატებს მიესალმა ზეინალა-მეინსტრუქტენტე **ნ. ნ. რუსაკოვი.** იგი სიამაყით ლაპარაკობდა იმაზე, რომ „ელექტროსილას“ პროდუქციას ახლა კარგად იცნობენ მთელ მსოფლიოში. ამ ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს, ომამდელსაც ჩვენი ქვეყნის ელექტროსადგურებში აწარმოებენ, იძლევიან ამ გაერთიანების გენერატორები. მსოფლიოში ყველაზე დიდი გენერატორები, ენერგეტიკულ აგრეგატთა საუკეთესო ავტომატიზაცია — აი რა არის „ელექტროსილა“.

ყრილობისათვის მზადების დროს, გაერთიანება „ელექტროსილას“ კომუნისტები, ყველა მშრომელნი ბეჯითად ეძებდნენ „ელექტროსილას“ მარკის მანქანებისა და აპარატების ტექნიკური დონის ამაღლების, ხარისხის გაუმჯობესებისა და გამოსადგომის ვადის გადიდების გზებს. მაგრამ ახლანდელ პირობებში, როდესაც მრეწველობის საწარმოებსა და დარგებს შორის ფართო კოოპერირება წარმოებს, შეუძლებელია მხოლოდ საკუთარი ძალებით დაამზადო ხარისხიანი პროდუქცია. საუკეთესო ხარისხისათვის, საუკეთესო მსოფლიო ნიმუშების დონის მიღწევისათვის შეჯიბრება მხოლოდ ერთად შეიძლება. ეს შეჯიბრება ჭეშმარიტად საერთო-სახალხო შეჯიბრებად უნდა გადაიქცეს!

ლენინგრადელი მუშები მიჩვეული არიან სიტყვის შესრულებას, ისინი სულით და გულით ზრუნავენ თავიანთი ნახელავის ხარისხისათვის, ქარხნის მარკის ღირსებისათვის. ამხ. რუსაკოვმა დელეგატებს უამბო შემთხვევა, რომელიც ამას წინათ „ელექტროსილაში“ მოხდა. კონსტრუქტორებმაც და ტექნიკური კონტროლის გასაოფილებამაც ვარგისად ცნეს ერთ-ერთი ხარატის მიერ დამზადებული დეტალი, თუმცა იგი ოდნავ განსხვავდებოდა ნახაზისაგან. მაგრამ თვით მუშა არ დაეთანხმება მათ აზრს. მან თქვა, არ მინდა მუშის სახელი შეეარცხვინოო.

ოსტატები, რომლებიც საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ, თქვა ორატორმა, — ინდუსტრიული ლენინგრადის სიამაყეა. ჩვენი ქალაქის საწარმოებში შრომობს ათასობით შესანიშნავი ოსტატი, რომლებმაც მუშაობის მხოლოდ ერთი მეთოდი იციან — ეს არის საუკეთესო ხარისხი. მათ უფლება აქვთ შეუმოწმებლად ჩააბარონ პროდუქცია. მათი ერთადერთი კონტროლია მუშის სინდისი.

პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლას ყველაზე დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს. მაგრამ ჩვენს აღმზრდელობითს მუშაობაში ამ საკითხებს ჯერჯერობით აშკარად არ ეთმობა სათანადო ყურადღება. არსებითად ახლა წუნი მხოლოდ ბუჰალტერიებში აღირიცხება. მოდით, ამბობს ორატორი, წუნის ყოველი შემთხვევა ჩვენ თვითონ, მუშებმა აღვრიცხოთ და გავიღაშქროთ იმათ წინააღმდეგ, ვინც არ უფრთხილდება მუშის ღირსებას.

ზოგჯერ, განაგრძობს ამხ. რუსაკოვი, შეიძლება გიგონო წუწუნი, თითქოს ახლა სულ სხვა ახალგაზრდობა იყოს. მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ ასეთი მტკიცებისა! ახალგაზრდები მუშაობენ ჩემს გვერდით, მათ კარგად ვიცნობ და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს ჭალიშვილები და ჭაბუკები სწორედ ისინი არიან, ვინც გზას განაგრძობს ჩვენი დროშით. მაგრამ ახალგაზრდობასთან ბევრი და ბეჯითი მუშაობა გვმართებს; მისთვის მამაშვილურად უნდა ვზრუნავდეთ.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომლებსაც არ გაანნიათ მუშის სიამაყის გრძნობა, დოყლაპიები, შრომის დისციპლინის დამრღვევნი. ისინი დიდ ზიანს აყენებენ წარმოებას, და ჩვენ ამას ვეღარ შევურიგდებთ. შრომის დისციპლინის დამრღვევეთ მთელი სიმკაცრით უნდა ვექცეოდეთ. როგორც ჩანს, დადგა დრო, რომ შრომის კანონმდებლობაში შევიტანოთ შესწორებანი. საჭიროა ისეთი კანონები, რომლებიც წაახალისებენ მოწინავე მშრომელებს და მკაცრად დასჯიან იმათ, ვინც ცდილობს სხვისი შრომით გავიდეს იოლად.

კრებებზე ხშირად ელაპარაკობთ ჩვენი მუშათა კლასის რევოლუციურ ტრადიციებზე, მაგრამ ცუდად განვმარტავთ, რა არის ამ ტრადიციების არსი, ნათლად ვერ გამოვხატავთ, როგორი უნდა იყოს დღეს მუშა ადამიანი, თუ მისთვის ნამდვილად ძვირფასია ობეხოვის თვდაცვის მონაწილეთა გმირობა, პუტილოველთა რევოლუციური საქმენი, ჭაკვი გმირობა პიტერის მუშებისა, ზამთრის სასახლეზე რომ მიჰქონდათ იერიში.

ვ. ი. ლენინი, თქვა ორატორმა, წერდა, რომ პიტერის მუშები გამოწრთობილი არიან, პოლონეზ ახალ ძალებს, აწარეურებენ ახალ მებრძოლებს, ჩინებულად ასრულებენ მოწინავე რაზმის ამოცანებს. ჩვენ მუდამ გვახსოვს ლენინის ეს მაღალი შეფასება, და დიდი საქმეების ზღურბლზე, ხუთწლედის დასაწყისში, მინდა პირობა მივცე ყრილობის დელეგატებს, რომ ახლა ლენინგრადელი მუშები წინანდელზე უფრო გამოწრთობილი არიან, მეტი ძალღონე აქვთ და მზად არიან შეასრულონ ჩვენი პარტიის ყოველი დავალება!

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვლადისლავ გომულკა,** რომელსაც დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ, მხურვალედ მიესალმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, პოლონეთის მუშათა კლასისა და პოლონელი ხალხის სახელით იგი გულთბილად და ძმურად მიესალმა დელეგატებს, მთელ ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხალხს.

თქვენი პარტიის — კომუნისტებისაკენ ისტორიულ სვლაში საბჭოთა კავშირის ხალხების წინამძღოლის — XXIII ყრილობა, თქვა ამხ. გომულკამ, ღირსშესანიშნავი მოვლენაა არა მარტო დიდი საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა, რომელიც დღეს მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, ყველა ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალებისა და სოციალისტური ბანაკის უარადღების ცენტრშია.

თქვენი XXIII ყრილობა, განაგრძო ორატორმა, მიმდინარეობს საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების პერიოდში. თქვენთან ერთად, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მომხრეებთან ერთად ჩვენც გვაშფოთებს აგრესიული პოლიტიკა ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომლებმაც იკისრეს კაპიტალიზმის მსოფლიო ჟანდარმის როლი, აძლიერებენ ბინძურ ომს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, ბომბავენ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, მიმართავენ შეიარაღებულ ინტერვენციის მსოფლიოს სხვა ქვეყნებში დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის მოძრაობის წინააღმდეგ.

ახლანდელი საერთაშორისო ვითარება ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, მოითხოვს მთელი სოციალისტური ძალების, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის, აგრეთვე ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის ერთიანობასა და შეკავშირებას საერთაშორისო ასპარეზზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ერთიანობა იყო და არის ჩვენი მოქმედების, ჩვენი მშვიდობისმოყვარული მეცადინეობის წარმატების მთავარი პირობა, საერთაშორისო მოვლენათა განვითარებაზე სოციალისტური სისტემის სახელმწიფოთა გავლენის მთავარი ბერკეტი.

ცენტრალური საკითხი, რომლის გარშემოც უნდა ავაგოთ ეს ერთიანობა, არის ერთობლივი დახმარება და ურთიერთმოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად, მთელი სოციალისტური ძალების, კომუნისტური და მუშათა პარტიების ურთიერთმოქმედება იმ საქმეში, რომ დახმარება გაუწიონ ვიეტნამელ ხალხს ამერიკის აგრესიის მოგერიებაში. ჩვენი პარტია მიესალმება და იწონებს ამხანაგ ბრეჟნევის მოხსენებაში გამოთქმულ მტკიცე გადაწყვეტილებას ვიმოქმედოთ მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების — ახალი ომის თავიდან აცილებისათვის, მშვიდობისათვის, ხალხთა სუვერენიტეტის პატივისცემისათვის ბრძოლის დიადი მსოფლიო ფრონტის ერთიანობის საკეთილდღეოდ.

ვლადისლავ გომულკამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის ეფექტის ფრონტზე მთავარი დაბრკოლებაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის აგრესიული პოლიტიკა, მისი ცივი ომის პოლიტიკა. ეს პოლიტიკა კვლავ დადასტურდა ნატოში, რომელიც ბონის მთავრობამ გაუგზავნა ამას წინათ სხვა სახელმწიფოების, მათ შორის სოციალისტური სახელმწიფოების მთავრობებს. ბონის მთავრობა, რომელიც ადგას იმ პოზიციას, რომ გადაისნიჭოს პოლონეთის ახლანდელი საზღვრები დასავლეთით, და ცდილობს გერმანიის გაერთიანების ფარისევლური ლოზუნგების ნიღბით მოსპოს მშვიდობისმოყვარული გერმანული სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ახორციელებს მშვიდობის საქმისათვის საშიშ პროვოკაციას, რომელსაც ვერავითარი „საშვიდობო“ ფრაზეოლოგია ვერ დაფარავს.

ჩვენი პარტია სრულ სოლიდარობას უცხადებს პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში გერმანიის საკითხსა და ევროპის ქვეყნების მშვიდობიანი ურთიერთობის საკითხზე.

მთელი მსოფლიოს მშრომელები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს საბჭოეთის ქვეყნის უდიდეს მიღწევებს კომუნისტურ მშენებლობაში, ოლქის ახალი, კოსკრეტული ეტაპია სკკპ XXIII ყრილობის დღის წესრიგში შეტანილი დირექტივები ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამ დირექტივებში მოცემულია ხალხის კეთილდღეობის ზრდისა და საბჭოთა ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცების სწრაფი ტემპები, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალისტურ სახელმწიფოთა მთელი თანამეგობრობის ძალას.

ვლადისლავ გომულკამ განაცხადა, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მჭიდროდ არიან დაკავშირებული ძმური სოლიდარობითა და თანამშრომლობით ცხოვრების ყველა დარგში. ჩვენს პარტიას და სახალხო პოლონეთს, თქვა მან, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ კვლავაც განამტკიცონ ორიეე სახელმწიფოსა და ხალხს მეგობრობა და ძმობა, რომ ამრავლონ სოციალისტური ბანაკის ძალა და ძლიერება, რაც საფუძვლად უდევს ჩვენს უშიშროებასა და ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის სახელით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხისა და მთავრობის სახელით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ყრილობის ყველა დელეგატსა და სტუმარს ძმურად მიესალმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვალტერ ულბრიხტი.** დარბაზში ქუხს ხანგრძლივი ტაში.

ამ ყრილობასა და მის გადაწყვეტილებებს, თქვა ვალტერ ულბრიხტმა, უდიდესი მნიშვნელობა ექნება არა მარტო საბჭოთა კავშირის შემდგომი განვითარებისათვის, არამედ აგრეთვე მსოფლიო საპარეზზე სოციალიზმის სასარგებლოდ ძალთა თანაფარდობის შეცვლისთვისაც.

ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი, კომუნისტური და მუშათა პარტიები და სოციალისტური სახელმწიფოები ძმურ სოლიდარობას უცხადებენ ვიეტნამელ ხალხსა და მის გმირულ ბრძოლას. ჩვენ ვიცით, რომ ეს სოლიდარობა მარტო სიტყვებით როდი შემოიფარგლება. და ჩვენ მადლობას ვუხდით საბჭოთა კავშირს, რომელიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების შესაბამისად ესწიდენ მნიშვნელოვან დახმარებას უშიკს მოძმე ვიეტნამელ ხალხს. ჩვენ მადლიერი ვართ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა იმ მოთმინებითი მეცადინეობისათვის, რომლის მიზანია ყველა სოციალისტური ქვეყნისა და ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის თანამშრომლობის განმტკიცება, რაც ესოდენ საჭიროა აგრესიის მოგერიებისა და ჩვენი საერთო საქმის გამარჯვებისათვის. ჩვენ ყოველი ღონისძიებით ვუჭერთ მხარს ამ მეცადინეობას.

საბჭოთა ხალხსა და ევროპის ქვეყნების ანტიფაშისტებს, რომლებმაც ურიცხვი მსხვერპლი გაიღეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, სურთ, რომ გერმანია ბოლოს და ბოლოს აღარ იყოს ომის ხანძრების კერა. ამიტომ, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, საჭიროა მშვიდობიანი გადაწყვეტილება, რომელმაც ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის ისტორიული ფაქტის საფუძველზე უნდა ჩაბუნველყოს გერმანიის გაერთიანება, მისი ნეიტრალიზაცია და ევროპის უშიშროება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველ ღონეს იხმარს, რომ დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასთან, პროგრესულ ინტელიგენციასა და მთელ სხვა მშვიდობისმოყვარულ ძალებთან ერთად მიაღწიოს მშვიდობიან განვითარებას.

XXIII ყრილობა იმის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომი შემოქმედებითი გამოყენება ეკონომიკის, სოციალისტური დემოკრატიისა და კულტურის ახალი პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც სადღეისოდ ობიექტურად მომწიფდა და სოციალისტური ქვეყნების პარტიების წინაშე წამოიჭრა.

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ ფაქტს, რომ აქ, XXIII ყრილობაზე წყდება საკითხი, თუ როგორ მივაღწიოთ ცენტრალიზებული მეცნიერულად დასაბუთებული ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის მთლიანობას მასების უფრო ფართო შემოქმედებითი ინიციატივის გაშლასთან. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სოციალისტური ქვეყნისათვის. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია სავსებით ეთანხმება დებულებებს, რომ საჭიროა სოციალისტურ სახელმწიფოთა მეზანდასახული და დინამიკური კოოპერირება ეკონომიურ და სამეცნიერო-ტექნიკურ დარგებში.

მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ჩვენი ხელშეკრულების საფუძველზე, თქვა ვალტერ ულბრიხტმა, ჩვენ უფრო მაღალ საფეხურზე აგვყავს არა მარტო ეკონომიური ურთიერთობა, არამედ პოლიტიკური და იდეოლოგიური თანამშრომლობაც. ამრიგად, შეიქმნა იმის პირობები, რომ კიდევ უფრო განვითარდეს ჩვენი პარტიების, სახელმწიფოებისა და ხალხების ძმური ურთიერთობა, კიდევ უფრო განმტკიცდეს მათი საბრძოლო თანამეგობრობა.

ვუსურვებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს წარმატებით შეასრულონ ხუთწლიანი გეგმა და მოიპოვონ ახალი გამარჯვებანი კომუნიზმის მშენებლობაში, ჩვენს საერთო ბრძოლაში საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისათვის, მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ვუსურვებთ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

ტრიბუნაზე ადის ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ლე ზუანი,** რომელსაც ყრილობის დელეგატები და სტუმრები მქუხარე ტაშით ეგებებიან.

— უსაზღვრო ბედნიერებას განვიცდით, რომ საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობაზე ვიეტნამის მშრომელთა პარტიის წარმომადგენლები ვართ, — ამბობს ამხ. ლე ზუანი. — ნება გვებოძოთ მხურვალედ მივულოცო ყრილობას და ვიეტნამის კომუნისტებს, მუშათა კლასსა და ხალხს მეგობრული, ძმური სალამი გადავცეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტთა თორმეტმილიონიან არმიას, მუშებს, კოლმეურნე გლეხობასა და ინტელიგენციას.

სკკპ XXIII ყრილობა წვლილი იქნება მშვიდობის დაცვის საქმეში სოციალისტური ბანაკისა და მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის, აგრეთვე დახმარებას გაუწევს ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციებს, მშრომელებსა და ჩაგრულ ხალხებს მთელ მსოფლიოში.

ჩვენს წინაშე ისტორიის მიერ დასახული ამოცანები რომ შეასრულონ, ვიეტნამის მუშათა კლასი და ხალხი ისწრაფვიან შეიდროდ შეკავშირდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთან, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასთან, მშრომელებთან და ჩაგრულ ხალხებთან, ესწრაფვიან მთელი ამ ძალების ურყევ ერთიანობას.

საბჭოთა კავშირის მიერ საერთაშორისო ფაშისტური კოალიციის განადგურებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა იმისათვის, რომ გაემარჯვა 1945 წლის ჩვენს აგვისტოს რევოლუციას. ჩინეთის რევოლუციის გამარჯვებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა იმისათვის, რომ გაგვემარჯვა ნეოფაშისტურ ბანდიტ ბაოდაის ოლიგარქიის ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. მას შემდეგ და დღესაც ვიეტნამელი ხალხი კვლავ შეუპოვრად იბრძვის, რათა ჩრდილოეთ ვიეტნამში აეშენოს სოციალიზმი და მთელი ვიეტნამის მასშტაბით შეასრულოს სახალხო ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანები.

ჩვენ დავამარცხეთ ფრანგი კოლონიზატორები, თქვა ამხ. ლე ზუანმა, და 1954 წელს დაიდო ჟენევის შეთანხმებანი ინდოჩინეთის შესახებ. ქვეყნის შიგნით და მსოფლიო ასპარეზზე ამ პერიოდში არსებული ძალთა თანაფარდობის დროს ჟენევის შეთანხმებათა დადება სწორი იყო. მაგრამ ამერიკელმა იმპერიალისტებმა თავიანთი რევანშიული არსის თანახმად დაარღვიეს თავიანთი ვალდებულებანი, თავხედურად ფეშავდნენ ჟენევის შეთანხმებებს, დაიწყეს ინტერვენცია ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში და გადავიდნენ აშკარა აგრესიულ ომზე. ისინი ცდილობენ ჩვენი ქვეყნის სამხრეთი ნაწილი აქციონ ახალი ტიპის კოლონიად და ამერიკის სამხედრო ბაზად, რათა გამოიყენონ იგი პლაცდარმად სოციალისტურ ბანაკზე თავდასხმისთვის.

ამბ. ლე ზუანმა აღნიშნა ვიეტნამის სამხრეთ ნაწილში წინააღმდეგობის ძალთა ზრდა. ხუთი წლის მანძილზე (1960-1965 წლები) ხალხმა და განმათავისუფლებელმა არმიამ მწყობრიდან გამოიყვანეს მარიონეტული არმიის 630 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი და 20 ათასი ამერიკელი. განთავისუფლებულია სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიის ოთხი მეხუთედი ნაწილი. 10 მილიონამდე ვიეტნამელი (14 მილიონიდან) თავისუფალ ცხოვრობს, მათ მიიღეს ორ მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა.

ამერიკის ჯარები, მარიონეტული არმია და ამერიკის სატელიტთა ჯარები, თქვა შემდეგ ამბ. ლე ზუანმა, რომელთა საერთო რიცხვი 700 ათას კაცს აღწევს, ყველამდე ჩაეფლნენ ომის ჭაობში. მათ გამანადგურებელ დარტყმებს ყენებენ სამხრეთ ვიეტნამის არმია და ხალხი. ამერიკელები მძიმე დამარცხებას განიცდიან საჰაერო ომშიც, რომელსაც ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ აწარმოებენ. ჩრდილოეთ ვიეტნამის არმიამ და ხალხმა ჩამოაგდეს 900-ზე მეტი თანამედროვე ამერიკული თვითმფრინავი და ჩაფუშეს ამერიკელთა განზრახვა გამოიყენებინათ „უპირატესობა პაერში“, დაეშორჩილებინათ ჩრდილოეთი ვიეტნამი და თავი დაეწიოთ ჭაობისათვის, რომელშიც ჩაეფლნენ სამხრეთ ვიეტნამში.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები, მძიმე დამარცხების შედეგად, კვლავ ჯიუტობენ. გამალებით აძლიერებენ და აფართოებენ საომარ მოქმედებას, კვლავ დამატებით შეჰყავთ სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის ჯარები და თავიანთი სატელიტების ჯარები. ამავე დროს ამერიკელები მმართავენ „ყალბ დიპლომატიურ ხრიკებს „მშვიდობიანი მოლაპარაკების“, „წინასწარი პირობების მიუღებლად მოლაპარაკების“ თაობაზე.

მშვიდობა დაუყოვნებლივ აღდგება, თქვა ლე ზუანმა, თუ ამერიკის შეერთებული შტატები ცნობენ პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოთხ პუნქტში და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის განცხადების ხუთ პუნქტში.

თუ ამერიკელი იმპერიალისტები, ბაზს უსვამს ამბ. ლე ზუანი, განაგრძობენ აგრესიულ ომს, ჩვენი ხალხი საბოლოო გამარჯვებამდე იბრძოლებს. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და სოციალისტური ბანაკის ყველა მომძლე ქვეყნის და მთელი მსოფლიოს ხალხების უდიდესი მხარდაჭერით ვიეტნამელი ხალხი აუცილებლად მოიპოვებს საბოლოო გამარჯვებას.

ვსარგებლობ რა შემთხვევით, ამბობს იგი, ნება მიბოძეთ დიდი მადლობა ვუძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მთავრობასა და დიდ საბჭოთა ხალხს ჩვენი ვიეტნამელი ხალხის ბრძოლაში უდიდესი და მრავალმხრივი დახმარებისათვის. ნება მიბოძეთ აგრეთვე დიდი მადლობა ვუძღვნა სოციალისტურ ქვეყნებს, მოძმე პარტიებს, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მუშათა კლასსა და ხალხებს ჩვენი ხალხის სამართლიანი ბრძოლისადმი თანაკრძნობისა და მხარდაჭერისათვის.

ჩვენ, ვიეტნამელი კომუნისტები, პირობას ვდებთ, რომ ვიქნებით მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგულნი, მოსკოვის 1957 წლის დეკლარაციის რევოლუციური პრინციპებისა და მოსკოვის 1960 წლის განცხადების ერთგულნი. პირობას ვდებთ, რომ მთელ ძალებს მოვახმართ ბრძოლას სოციალისტური ბანაკისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლი მთელი ძალების შესაკავშირ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

(დასასრული)

სურ. მიწისა და მთელი რიგი სხვა საკითხების გადაჭრაში. ეს მოთხოვნა განსაზღვრება პარტიის კურსით — ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საბოლოოდ გადასაჭრელად გადაეცეს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. ცენტრალური კომიტეტი თავის სანგარიშო მოხსენებაში ერთხელ კიდევ მიაქცევს პარტიული ორგანოების ყურადღებას იმას, რომ უნდა აღმოიფხვრას საბჭოთა ორგანოების წვრილმანი მეურვეობისა და მაგვრობის გაწვის ელემენტები. ამ მოთხოვნებს საფუძველად უდევს პარტიის წესდება.

იმ ძირეულ ამოცანებს შორის, რომლებიც პარტიამ დასახა უახლოესი პერიოდისათვის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებულ დიდ ეკონომიურ და სოციალურ ღონისძიებათა განხორციელება რეალურ შესაძლებლობებს გვიქმნის სახალხო მეურნეობის ამ დარგის სწრაფი განვითარებისათვის, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების დონის თანმიმდევრული დაახლოებისათვის.

ამასთან დაკავშირებით არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობების ცხოვრების მართვის დემოკრატიული პრინციპების სრულყოფას. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდება, რომელიც უნდა მიიღოს კოლმეურნეთა მომავალმა III ყრილობამ. ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენი ყრილობის განსახილველად შემოიტანა კიდევ ერთი წინადადება, რომელიც საკოლმეურნეო წარმოების მართვის დემოკრატიული საფუძვლების შემდგომ განვითარებას შეეხება. საქმე ეხება საკოლმეურნეო-კოოპერაციული ორგანოების შექმნას. ამ წინადადების განხორციელება, რომელიც ჩვენი ყრილობის დელეგატებმა მოიწონეს, უეჭველია, მთელ რიგ ახალ პრაქტიკულ საკითხებს დაუსახავს საბჭოებსაც. უწინარეს ყოვლისა ეს არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან ურთიერთდამოკიდებულებისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარების საკითხები.

პარტიამ დიდი მუშაობა გასწია სოციალისტური მართლწესრიგის განსამტკიცებლად, თქვა ამბ. პოდგორნიმ, პიროვნების კულტთან დაკავშირებული მავნე დანაშრევების აღმოსაფხვრელად, საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფისათვის. ეკონომიკისა და კულტურის განვითარება აყენებს ახალ საკითხებს, რომლებიც საკანონმდებლო რეგულირებას მოითხოვენ. მომწიფდა იმის საჭიროება, რომ ჩვენი კანონმდებლობა მიწის, წიაღის, ტყის, წყლის რესურსების გამოყენების წესებისა და ზოგიერთი სხვა საკითხის შესახებ შეესაბამებოდეს დღევანდელობის მოთხოვნებს.

მნიშვნელოვნად უნდა ავამაღლოთ აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებლობა მათს გამგებლობაში მყოფ საწარმოებსა და ორგანიზაციებში კანონიერების დაცვისათვის, გავაძლიეროთ პროკურატურის ზედამხედველობა კანონების ზუსტი შესრულებისადმი, არ დაეუშვათ მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დარღვევა. მტკიცე ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ბიუროკრატიზმის, მშრომელთა წინადადებებისა და საჩივრებისადმი უყურადღებობის, არაგულისხმიერი დამოკიდებულების გამოვლინებებს. ამ საკითხების გადაჭრას უნდა მიაპყროს მთელი ყურადღება ყველა საბჭომ.

საბჭოების პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაძლიერება ჩვენი ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ახალი აღმაღლობის საფუძველი, საბჭოთა სახელმწიფოს თანმიმდევრული განმტკიცების საწინდარია. XXIII ყრილობის მიერ შემუშავებული პოლიტიკური ხაზი პარტიისა და სახელმწიფოს მუშაობის მთავარი ღერძი, მშრომელთა დეპუტატების ყველა საბჭოს საქმიანობის საფუძველი იქნება.

სიტყვის დასკვნით ნაწილი ამხ. პოდგორნიმ მიუძღვნა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის, სოციალისტურ ქვეყნებთან ძმური თანამშრომლობის, ინტერნაციონალური სოლიდარობის საკითხებს.

იხელმძღვანელებენ რა სკკპ XXIII ყრილობის გადწყვეტილებებით, განაცხადა ორატორმა, კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო კვლავაც მტკიცედ განახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც სოციალისტური წყობილების ბუნებიდან გამომდინარეობს, საკადრის პასუხს გასცემენ აგრესორთა ხრიკებს, ფართოდ გამოიყენებენ საერთაშორისო ასპარეზზე ყველა შესაძლებლობას სოციალიზმის, პროგრესისა და მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის.

ჩვენი პარტია, რომელიც მტკიცედ მიჰყვება თავის ლენინურ კურსს, ახალ გამარჯვებებს მოიპოვებს მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის — კომუნიზმისათვის ბრძოლაში!

გამოდის სკკპ ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ე. ჩერნიშევი.** პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის მთელი მუშაობა საანგარიშო პერიოდში, ამბობს იგი, მიმდინარეობდა წინა ყრილობების მიერ დასახული გენერალური ხაზის განუხრელად შესრულების ნიშნით. ზღვისპირეთის კომუნისტები, ყველა მშრომელნი სკკპ XXIII ყრილობაზე მოვიდნენ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი.

შედწლედის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა მხარეში ერთიოდ და მეტად გაიზარდა. ზღვისპირეთის მებადურები და ვეშაპმნადირენი, რომლებსაც პირველხარისხოვანი გემები აქვთ, რეწავს აწარმოებენ უკიდურეს ჩრდილოეთში, წყნარ ოკეანეში, ანტარქტიდის ნაპირებთან.

საბჭოთა ზღვისპირეთი, ამბობს ამხ. ჩერნიშევი, ჩვენი სამშობლოს მძლავრი ფორპოსტია წყნარ ოკეანეზე. ახლა ყოველნაირად ვცდილობთ, რომ უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ მხარის უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრენი და ჩავაყენოთ ისინი ხალხის სამსახურში. მხარის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშია საწარმოო ძალების კომპლექსურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

მიუხედავად სერიოზული წარმატებებისა, აღნიშნავს დელეგატი, ეკონომიური კომპლექსის შექმნის პრობლემა გადაუჭრელია. მხარეში შეუსაბამობა შეიქმნა მეურნეობის ცალკეულ მონაცისაგე დარგებს შორის. თავისი განვითარებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან სარეწი ფლოტის სანაპირო ბაზები, ნელა შენდება ნავსადგურები, მაცივრები. იმის გამო, რომ საკმაოდ ძლიერი არ არის გემთშემკეთებელი ბაზა, ფლოტის ნაწილის შეკეთება საზღვარგარეთ გვიხდება. სახელმწიფო საგემო კომიტეტის ვარაუდით ხუთწლეულში საზღვარგარეთ გემების შეკეთების პოცულობა არათუ არ შემცირდება, არამედ გაიზრდება. ასეთი არანორმალური მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს.

ამხ. ჩერნიშევს მიაჩნია, რომ ზღვისპირეთის ეკონომიკის წარმატებით განვითარებისათვის საჭიროა დამთავრდეს შორეულ აღმოსავლეთში დიდი სათბობ-ენერგეტიკული ბაზის შექმნა. დაფიგმაში არსებულმა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა გამოიწვია ის, რომ ახლა ზღვისპირეთში ყოველწლიურად შემოაქვთ მილიონამდე ტონა ქვანახშირი, რაც ერთიორად და უფრო ძვირი გვიჯდება, ვიდრე ჩვენს მხარეში მოპოვებული, ხარისხით კი უარესია. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო საგემო კომიტეტი და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო ზღვისპირეთში სათბობის მოპოვების უმნიშვნელო ზრდას სახავენ. აქ კი შეიძლება განვითარდეს ქვანახშირის მოპოვება ღია წესით.

მხარის წინაშე ფრიად მწვავედ დგას წყალდიდობის წინაღმდეგ ბრძოლის ამოცანა. წყალდიდობა პერიოდულად მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას. მდინარე იმანსა და უსურის შენაკადებზე ჰიდროკვანძების აგება არა მარტო უზრუნველყოფდა ზღვისპირეთს ელექტროენერგიით, არამედ წყლის რეჟიმის რეგულირების საშუალებასაც მოგვცემდა, კარგ პირობებს შექმნიდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის.

ორატორის აზრით, ცენტრალურმა მგეგმავმა ორგანოებმა უნდა შეისწავლონ ზღვისპირეთში დიდი ბრინჯისმთესველი ბაზის შექმნის საკითხი. შორეულ აღმოსავლეთში არის 9 მილიონამდე ჰექტარი დაჭაობებული მიწები, აქედან ზღვისპირეთში — მილიონზე მეტი, რომლის ნახევარი მაინც გამოსადეგია ბრინჯის სათესად. გამოთვლებიშება გვიჩვენებს, რომ მარტო ზღვისპირეთის მხარეში შეიძლება უახლოეს 5-10 წელიწადში 240 ათას ჰექტარამდე გადიდდეს ბრინჯის საირიგაციო სისტემები, შემდეგში კი — 400 ათას ჰექტარამდე.

დასასრულ ამხ. ჩერნიშევი ამბობს, რომ ზღვისპირეთის მხარის მშრომელები იწონებენ ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან ურთიერთობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის იმ პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ მოქმედებას, რომელთა მიზანია სიძლიერეთა დაძლევა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, მისი რიგების შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ საფუძველზე. ჩვენ, განაცხადა მან, გულწრფელად გვსურს ჩინელ ხალხთან და ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან მეგობრობა.

საბჭოთა ლიტვამ, ისევე როგორც სსრ კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკამ, განაცხადა ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. ი. სნეჩკუსმა,** განვლილი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. სამრეწველო წარმოების მოცულობა შვიდწლედში ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, მაშინ როცა საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული იყო ზრდა 1,8-ჯერ. ახლა ლიტვის მრეწველობა 18-ჯერ მეტ პროდუქციას აწარმოებს, ვიდრე ბურჟუაზიული ბატონობის პერიოდში.

განვითარდა ლიტვის სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაც. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები შეუერთდნენ ენერგიით აღზეკნენ მიწათმოქმედების კულტურის შემდგომ ამაღლებას, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციასა და სპეციალიზაციას, შეიორიგანიას, საკვებ ბაზის შექმნას. რა თქმა უნდა, გვაქვს ნაკლოვანებანიც, ამბობს ორატორი. ჯერ კიდევ დაბალია ზოგიერთი კულტურის მოსავლიანობა, სუსტია საკითხი კულტურების მოვლა-მოყვანის მექანიზაციი. მაგრამ ეს დროებითი ნაკლოვანებანია. ჩვენს წინაშე გადაშლილია სოფლის მეურნეობის, ისევე როგორც რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთელი ეკონომიკის აღმავლობის ფართო პერსპექტივები.

ამ ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ განმტკიცდეს პარტიის საფუძველი — პირველადი პარტიული ორგანიზაციები. განუწყვეტლივ იზრდება კომუნისტების ავტორიტეტი და ავანგარდული როლი კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში. უეჭველია, ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში წამოყენებული წინადადებანი პარტიის წესდების ცვლილებათა და დამატებათა შესახებ ხელს შეუწყობენ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას, გაზრდიან პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას.

კადრების თეორიული მომზადების გაუმჯობესებას, აღნიშნა ორატორმა, ხელს უშლის კარგი სახელმძღვანელოების უქონლობა. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალებში დაბეჭდილი მასალები ყოველთვის როდი ეხმარებიან იმათ, ვინც პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობს. უნდა დავაჩქაროთ უმაღლესი სასწავლებლებისათვის სრულფასოვან სახელმძღვანელოთა მომზადება და გამოცემა, რომელებშიც ღრმად იქნება გაშუქებული მარქსისტულ-ლენინური აზროვნების მიღწევები თანამედროვე ეტაპზე.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია აძლიერებს იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობას. კომუნისტური შეგნება, საბჭოთა პატრიოტიზმი საბჭოთა ლიტვის მშრომელთა სულიერი სახის დამახასათებელი ნიშანია. მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდისათვის დიდი პოლიტიკური მუშაობაა გაწეული ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავისა და ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის 25 წლისთავის ღღესასწაულთან დაკავშირებით. იდეოლოგიურ მუშაობაში პარტიულ ორგანიზაციას დიდ დახმარებას უწევს ლიტველი ინტელიგენცია.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის, ამბობს ამხ. სნეჩკუსი, რომ ლიტვის პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ იყენებს მთლიანად ყველა შესაძლებლობას აღმზრდელობითი მუშაობისათვის, მოსახლეობის შეგნების ამაღლებისათვის. იდეოლოგიურ მუშაობაში ყოველთვის როდი ვწყვეტენთ ყველა ადამიანს, ამას კი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში, როცა წარმოების მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა ჩვენს მტრებთან, როცა ბურჟუაზიული პროპაგანდა ცდილობს გაიფართოოს თავისი საქმიანობა და ამისათვის უმცირეს შესაძლებლობასაც კი იყენებს ჩვენი ადამიანების შეგნების მოსაშალავად.

ჩვენი დელეგაცია მოხარულია აცნობოს ყრილობის დელეგატებს, რომ ლიტვის მშრომელთა კოლექტივები, რომლებმაც სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად, წარმატებით ასრულებენ

მოსკოვი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა. **სურათზე:** კრემლის ყრილობათა სასახლის ფოიეში. კოსმონავტი მფრინავი საბჭოთა კავშირის გმირი პ. ი. ბელიაევი ავტოგრაფებს აძლევს ყრილობის დელეგატებს.

ფოტო ვ. კოშევოისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

მას. ისინი ისევე ძლიერ გრძნობენ ჩვენი ყრილობის მოზიცებას, როგორც ჩვენ ვგრძნობთ აქ.

ტრიბუნაზე ადის საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი **ვალდეკ როშე,** რომელსაც ყრილობის მონაწილენი ტაშით ხვდებიან.

ჩვენს ქვეყანაში, აცხადებს იგი, ლენინის პარტიის ყრილობებს აღიქვამენ როგორც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენებს. მთელი მსოფლიოს მშრომელებსა და პატიოსან ადამიანებს განსაკუთრებით ახარებთ ის, რომ საბჭოთა კავშირის ძლიერება ემსახურება ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობის საქმეს.

თქვენი მაგალითისამებრ საფრანგეთის კომუნისტები იბრძვიან თავიანთი ხალხის მეგობრებისათვის. ჩვენი კომუნისტური პარტიის მთავარი საზრუნავია მიაღწიოს მუშათა **კლასის** ერთიანობასა და მთელი დემოკრატიული და პროგრესული ძალების კავშირს.

ჩვენ თავიდანვე გავიღაშქრეთ ამერიკის დიქტატის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენს ქვეყანას მოაბეზეს თავს, და ამ ავანტიურების უდიდესი საშიშროების წინააღმდეგ, რომლებიც აქედან გამომდინარეობდნენ. ახლა ძალთა თანაფარდობის შეცვლამ მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის სასარგებლოდ და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობათა გამწვავებამ გამოიწვია ის, რომ საფრანგეთის მთავრობამ განახორციელა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის გათავისუფლება ამერიკის მეურვეობისაგან და გადასვლა საერთაშორისო თანამშრომლობის უფრო რეალისტურ პოლიტიკაზე. სწორედ ამიტომ, თუმცა დე გოლი აცხადებს, რომ ერთგულია ატლანტიკური კავშირისა, მან მიიღო გადაწყვეტილება გამოიყვანოს საფრანგეთი ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის სამხედრო ორგანიზაციიდან.

გადაჭრით ვილაშქრეთ რა პირადი ხელისუფლების რეჟიმის წინააღმდეგ, ხაზგასმით აღნიშნავს ვალდეკ როშე, ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა იმ ღონისძიებას, რომელთა მიზანია მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევა და რომელთა განხორციელებას ყოველთვის მოვითხოვდით. მთელ ფრანგ ხალხთან ერთად დიდი კმაყოფილებით შეეხვდით აგრეთვე ცნობას იმის შესახებ, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ივნისში ეწვევა თქვენს ქვეყანას.

საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კარგი ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება შეესაბამება ორივე ჩვენი ხალხის ინტერესებს, ევროპაში უშიშროებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის ინტერესებს. ამავე დროს ჩვენ ვიბრძვით დე გოლის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა ასპექტის წინააღმდეგ და, კერძოდ, ატომური დამკვრელი ძალის შექმნის წინააღმდეგ, რომელიც ევროვითარ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს საფრანგეთის უშიშროებას და ეწვევა ატომური იარაღის გავრცელებას. აი რატომ ვიბრძვით ჩვენი ქვეყნის სხვა დემოკრატიულ პარტიებთან ერთად საფრანგეთის ატომური მრეწველობის მშვიდობიან რელსებზე გადაყვანისათვის, ატომური იარაღის გაუვრცელებლობისათვის, იმისათვის, რომ საფრანგეთმა ხელი მოაწეროს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის მოსკოვის ხელშეკრულებას. ვიბრძვით კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო განიარაღებისათვის.

ამავე დროს ჩვენ ვიბრძვით დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის გაძლიერების წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ მან ხელთ იგდოს ატომური იარაღი, ვიბრძვით გერმანიასთან ახლანდელი საზღვრების შენარჩუნებისათვის, ევროპის უშიშროების ორგანიზაციისათვის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობისათვის.

ვალდეკ როშე აცხადებს, რომ ფრანგი კომუნისტები სრულ სოლიდარობას უცხადებენ სახელოვან ვიეტნამის მშრომელთა პარტიას და გმირ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტს.

აღნიშნა რა, რომ ამერიკელი იმპერიალისტები იმედს ამყარებენ უთანხმოებაზე მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში, ორატორმა თქვა: საჭიროა, რომ მთელი ძალები, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისა და სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, განაცხადა ამბ. ნოვოტნიმ, მთელი მსოფლიოს სოციალისტური, რევოლუციური და პროგრესული ძალების, მშვიდობის ფართო ფრონტის მთავარი პოლიტიკური დასაყრდენია. ახორციელებს რა ლენინურ საგარეო პოლიტიკას, საბჭოთა კავშირი ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების მთავარ ბურჯს წარმოადგენს.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა თავის საგარეოპოლიტიკურ საქმიანობაში მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის, ეროვნული ეკონომიკის და ეფექტურობის ამაღლებისათვის, ეროვნული ეკონომიკის